

24.02.2010

გენერალური დირექტორის განცხადება საგანგებო სიტუაციათა კომიტეტის მეშვიდე სხდომის შესახებ

საგანგებო სიტუაციათა კომიტეტის მეშვიდე სხდომა, ტელეკონფერენციის საშუალებით, ჩატარდა 2010 წლის 23 თებერვალს. გენერალურმა დირექტორმა მოისმინა კომიტეტის შეხედულებები პანდემიის სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

კომიტეტს წარედგინა გლობალური პანდემიის სიტუაციის შესახებ დეტალური განახლება. დამატებითი შეკითხვების დასმის, მტკიცებულების გადახედვის და ფართო დისკუსიების შემდეგ, კომიტეტის შეხედულებით, არაერთმნიშვნელოვანი მტკიცებულება, აჩვენებს კლებას ან დაბალ პანდემიურ აქტივობას ბევრ ქვეყანაში, მაგრამ ახალ საზოგადოებრივ დონეზე ტრანსმისიის აქტივობას დასავლეთ აფრიკაში. მეტიც, მათ შეშფოთება გამოთქვეს, იმის თაობაზე, რომ ზამთრის თვეები სამხრეთ ჰემისფეროში ჯერ არ დაწყებულა და არსებობს ეჭვი დამატებითი აქტივობის გენერალიზებული ტალღების წარმოქმნის შესახებ, ამიტომ მზადყოფნის უზრუნველყოფა არ შეიძლება. კომიტეტმა მიიჩნია, რომ ნაადრევი იყო დასკვა იმის შესახებ, რომ მსოფლიოს ყველა ნაწილმა განიცადა H1N1 პანდემიური გრიპის ვირუსის ტრანსმისიის პიკი. საჭიროა დამატებითი დრო და ინფორმაცია რათა ექსპერტებმა გასცენ რჩევები პანდემიის სტატუსზე. კომიტეტმა ასევე შესთავაზა განმეორებითი შეხვედრა რამდენიმე კვირის შემდეგ, შესაბამისი ეპიდემიოლოგიური ინფორმაციის გადახედვისათვის.

აღნიშნული შეხედულებების, ამჟამინდელი ეპიდემიოლოგიური მტკიცებულების და სხვა შესაბამისი ინფორმაციის გათვალისწინებით, გენერალურმა დირექტორმა გადაწყვიტა, რომ არ შეიცვალოს პანდემიის ფაზა, გაგრძელდეს მონიტორინგი სიტუაციაზე და მოწვეულ იქნას კომიტეტი რამდენიმე კვირის შემდეგ.

ჯანმო-ს გენერალური დირექტორის თხოვნით კომიტეტმა ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებები ჯანმრთელობის საერთაშორისო წესების ამჟამინდელ სამ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება საერთაშორისო მნიშვნელობის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საგანგებო შემთხვევას. კომიტეტის აზრით, მეორე რეკომენდაციაში “გაძლიერება” უნდა ჩანაცვლდეს “შენარჩუნებით” პანდემიის ზედამხედველობასთან მიმართებაში, რომელსაც უკვე ახორციელებენ ქვეყნები და საჭიროა ამ ქტივობის შენარჩუნება. აღნიშნული შეხედულებების და მიმდინარე პანდემიური სიტუაციის გათვალისწინებით, გენერალურმა დირექტორმა გადაწყვიტა შემდეგი სამი რეკომენდაციის გაგრძელება:

- ქვეყნებმა არ უნდა ჩაკეტონ საზღვრები და შეზღუდონ საერთაშორისო მგზავრობა;
- შეინარჩუნონ ზედამხედველობა უჩვეულო გრიპის მაგვარ დაავადებებსა და მძიმე პნევმონიაზე;
- ავადმყოფობის შემთხვევაში, მიზანშეწონილია მგზავრობის გადადება.